სამურაბე ბალი

ბაღში ბალი დამწიფდა,

ღურღუმელა შავუნა,

ფოთლებს მიღმა უცქერენ,

კუნწულები, მალულად,

ჩასაკვრეხად უხმობენ,

დამსკდარი ნაყოფები,

ზოგან კურკებიც უჩანთ,

ჩიტთა დანაკორტნები.

ბაჩომ კიბე მიადგა,

დაიკოც მიეხმარა,

მოკრეფილი ბლები კი,

ვარცლზე გადმოიყარა.

მიესივნენ ბავშვები,

და გამართეს ყიჟინა,

ნიტაც ფეხზე წამოხტა,

უკვე გამოიძინა.

და იცმევენ ყურებზე ,

ყურსაკიდა კუნწულებს,

პაწაწინა რუსკაც კი,

სარკის წინ დაცუნცულებს,

მოეთხუპნათ ტუჩები,

გაეტკბილათ თითები,

მწერები ესევიან,

დაეზარდათ ღიპები.

ბოლოს ერთურთს შეხედეს,

აღარ დარჩა ბალი,

გონს მოეგნენ გვიანღა,

ბაჩო, ნიტა,ლალი.

თავდახრილი, მორცხვები,

კუთხეს ეწურებიან,

სამურაბედ მინდაო,

სთქვა იმ ბალზე ბებიამ.

მანანა ტონია

ალუბალი

ლოყებდაბრაწულ ალუბლებს შეექმნათ ერთი აბავი,

თითქოს მზეს შემოეთვალა სიტყვები შუქის სადარი:

სითბოს გიგზავნით მარცვლებო,

ლოყა შეივსეთ ბადაგით,

ხვალისთვის სოფლის პატარებს

გაახალისებთ ბარაქით.

ხვალეც გათენდა, გააღო მზემ განთიადის სარკმელი,

ბავშვებიც წამოახტუნა, გაუხალისა საგები.

მაგრამ დახედეთ რა ხდება,

რა ხმა მოისმის ბაღიდან?

ჩიტუნებს გაღვიძებიათ,

არ დაუცდიათ მზისთვისა,

შემსხდარან, შექუჩებულან, ჩამოუხუნძლავთ ტოტები,

ალუბლებს ატბარუნებენ, თანაც ლაღობენ მოლხენით.

მზეს მადლს უქებენ გულწრფელად,

ჟღურტულით ეტკბილხმებიან,

ალუბლებს გულებს ართმევენ,

ერთმანეთ ესიტყვებიან:

სოფლის ბავშვებსაც ვაწილოთ, ისინიც ელოდებიან!

ქეთევან გარაყანიძე

საზამთრო და ნესვი

თვის ტოლებში გივის სურს,

პოლემიკა გამართოს:

“ხილს ზაფხულში მივირთმევთ და

რად ვეძახით საზამთროს?”

ზოგმა რა სთქვა, ზოგმაც რა,

ნესვს საზამთრო ადარა,

ბოლო სიტყვით გამოდის,

გურამიკო პატარა.

საზამთრო ის ხილიაო,

ზაფხულშიც რომ ცივიაო.

საზამთრო და ნესვიო,

ჩაიცვით პამპერსიო.

მანანა ტონია

ბალი

ავად იყო დალი,

მოესურვა ბალი,

ნინოს დედამ დალის

მოუკითხა ბალი.

რომ მირთვა ბალი,

უკეთ გახდა დალი,

გარეთ უწევს გულის,

კარში რჩება თვალი.

ზაქარია შერაზადაშვილი

ჯადოსნური მაგიდა

სამასპინძლოდ მოგელით,

გაშლილი გვაქვს მაგიდა,

ყველა დროის ხილია,

სულო, გულო, რა გინდა!

აქეთ ვაშლი შაქარა,

იქით - მსხალი გულაბი,

სასუსნავიც ბევრია -

ბალი, შინდი, უნაბი.

რაზედ მორცხვობს ატამი?

ცალი ლოყა ასწვია,

ხელგობზე რომ აწყვია,

დათაფლული მარწყვია.

ქარვისფერი ყურძენი

დევს ლარნაკზე სათუთად,

იწვის სავი მაყვალი,

ბოლავს თეთრი ხართუთა.

უჰ, რა კარგი ნესვია!

მნახველს სუნით დაათრობს,

აგერ კომში ბაქია,

ეტოქება საზამთროს.

ლალისფერი მძივებით

რამ აავსო ჯამ-თასი?

პირაღია ბროწეულს

გახევია ატლასი.

გავქრებიო, იძახის

ლეღვი, შიშით გამდნარი

და სქელ სამოსს შენატრის

ფორთოხალს და მანდარინს.

აბა, ჩქარა, მოგელით,

გაშლილი გვაქვს მაგიდა,

აირჩიეთ, მიირთვით,

სულო, გულო, რა გინდა!

გივი ჭიჭინაძე